

# ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №1  
2018 წლის 18 იანვარი

დაბა სტეფანწმინდა

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

## მუხლი 1

დამტკიცდეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხა დანართ №1-ის შესაბამისად.

## მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 30 ივნისის №8 დადგენილება (w.w.w. matsne.gov.ge, 01.07.2017, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.151.016218) „ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“.

## მუხლი 3

დადგენილების მოქმედება გავრცელდეს 2018 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

## მუხლი 4

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

ყაზბეგის მუნიციპალიტეტის  
საკრებულოს თავმჯდომარე

გრიგოლ სეთურიძე

დანართი №1

## ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხა

N	დასახელება	რანგი	სამტატო ერთეული
1	საჯარო დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, საკრებულოს აპარატის უფროსი	I	1
2	უფროსი სპეციალისტი მაჟორიტარებთან ურთიერთობის საკითხებში II კატეგორია	III	1
3	უფროსი სპეციალისტი საქმისწარმოების საკითხებში - II კატეგორია	III	1



4	უფროსი სპეციალისტი კომისიებთან ურთიერთობისა და ორგანიზაციულ საკითხებში- II კატეგორია	III	1
5	საკრებულოს თავმჯდომარის თანაშემწე	შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული	1
	სულ		5

